საკანონმდებლო სიახლეების

ცნობარი

(2021 წლის დეკემბერი)

მოცემული ცნობარი შეეხება მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც განხორციელდა სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში 2021 წლის დეკემბრის თვეში.

„საქართველოს საგადასახადო კოდექსი“

2021 წლის 22 დეკემბერს საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილება:

1. მე-80 მუხლს დაემატა შემდეგი შინაარის მე-7 და მე-8 ნაწილები:

„7. ფიზიკური პირის, რომელიც აზარტული თამაშობის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობიდან იღებს შემოსავალს, აღნიშნული საქმიანობის ნაწილში, საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობიექტია აზარტულ თამაშობაზე/თამაშობებზე მოთამაშეებისგან მიღებულ ფსონებსა და მოთამაშეებზე გაცემულ მოგებას შორის სხვაობა.

8. სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ აზარტულ ან/და მომგებიან თამაშობებში (გარდა სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი წამახალისებელი გათამაშებისა) მონაწილე პირის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობიექტია მის მიერ სისტემურ-ელექტრონული სათამაშო ანგარიშიდან გატანილი თანხა.“.

2. 81-ე მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის 3^1 და 3^2 ნაწილები:

„3^1. ფიზიკური პირის მიერ აზარტული თამაშობის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობიდან მიღებული დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 10 პროცენტით.

3^2. პირის მიერ ამ კოდექსის მე-80 მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული სისტემურ-ელექტრონული სათამაშო ანგარიშიდან გატანილი თანხა იბეგრება 2 პროცენტით.“.

ცვლილებები შეეხო ასევე სხვა მუხლებსაც.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 200000000.05.001.020462

კანონი ამოქმედდა 2022 წლის 1 იანვრიდან.

ამავე კოდექსში 2021 წლის 22 დეკემბერს დამატებით კიდევ შეტანილ იქნა ცვლილებები, რომლის საფუძველზე საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის:

ა) მე-15 ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„15. 2023 წლის 1 იანვრამდე საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების ვალდებულებისგან თავისუფლდებიან ფიზიკური პირები, რომლებიც არ იყენებენ დაქირავებულ პირთა შრომას და ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას ბაზრის (ბაზრობის) ტერიტორიაზე განლაგებული არასტაციონარული სავაჭრო ადგილიდან, მათ შორის, დახლიდან, გარდა ფიზიკური პირისა, რომელსაც მინიჭებული აქვს მცირე ბიზნესის სტატუსი ან რომელიც დარეგისტრირებულია ან ვალდებულია დარეგისტრირდეს დღგ-ის გადამხდელად ამ კოდექსის შესაბამისად.“;

ბ) 42-ე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„ე) არაუგვიანეს 2023 წლის 1 იანვრისა სრულად უზრუნველყოს ბაზრობის ტერიტორიაზე განლაგებული არასტაციონარული სავაჭრო ადგილები საკონტროლო-სალარო აპარატებით.“;

გ) 111-ე ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„111. ამ კოდექსის 262 მუხლის მე-5 ნაწილისა და 290^2 მუხლის მოქმედება შეჩერდეს 2023 წლის 1 იანვრამდე.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 200000000.05.001.020463

კანონი ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე

„საქართველოს კანონი „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“

2021 წლის 14 დეკემბერს „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილება:

1. მე-3 მუხლის:

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ა) „ც“ და „ძ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„ც) აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდება – „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გაცემული აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდების ნებართვის საფუძველზე თამაშობის ორგანიზატორისთვის ან/და საქართველოს ტერიტორიის ფარგლების გარეთ პირისთვის არსებითი პროდუქციის/მომსახურების პირდაპირი ფორმით ან/და არაპირდაპირი ფორმით მიწოდება, რამაც შესაძლებელია გავლენა მოახდინოს ან/და რაც გავლენას ახდენს აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების შედეგებზე აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიმწოდებლის მონაწილეობით ან/და მისი მონაწილეობის გარეშე;

ძ) აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიმწოდებელი – პირი, რომელიც ახორციელებს აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდებას;“;

ბ) „წ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„წ) არსებითი პროდუქცია/მომსახურება – საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული ისეთი პროდუქცია ან/და მომსახურება, რომელიც მოიცავს აზარტულ ან/და მომგებიან თამაშობებს (მათ შორის, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ თამაშობებს), შემთხვევითი რიცხვების გენერირების პლატფორმას (RNG), ჯეკპოტის პლატფორმას, სათამაშო პლატფორმას (მათ შორის, სერვერს/სერვერებს, რომელზედაც/რომლებზედაც უშუალოდ ხდება თამაშის შედეგის გამოვლენა), მოთამაშეთა ბაზას, ფინანსურ ბაზას/სისტემას, მენეჯმენტის სისტემას, სათამაშო აპარატებს ან/და ამ კანონით გათვალისწინებულ სხვა პროდუქციას ან/და მომსახურებას და რომელმაც შესაძლებელია გავლენა მოახდინოს ან/და რომელიც გავლენას ახდენს აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების შედეგებზე აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიმწოდებლის მონაწილეობით ან/და მისი მონაწილეობის გარეშე;“.

2. მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„4. საქართველოს ფინანსთა მინისტრი უფლებამოსილია განსაზღვროს ის მომსახურებები, რომელთა გაწევაც ეკრძალება საქართველოს ტერიტორიის ფარგლების გარეთ სათამაშო ბიზნესის სფეროში საქმიანობის განმახორციელებელ პირს.“.

3. 29-ე მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის 14 პუნქტი:

„14. აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიმწოდებელი ვალდებულია გადაიხადოს შემოსავლების სამსახურის მომსახურების საფასური. ამ საფასურის ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.“.

ცვლილებებით ასევე განისაზღვრა შემდეგი:

1. საქართველოს მთავრობამ 2022 წლის 1 თებერვლამდე უზრუნველყოს არსებითი პროდუქციისა და მომსახურების ნუსხის დამტკიცება.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

2. პირებმა, რომლებიც ამ კანონის ამოქმედების მომენტისთვის ახორციელებენ საქართველოს ტერიტორიის ფარგლების გარეთ პირისთვის აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდებას, არაუგვიანეს 2022 წლის 1 აპრილისა უზრუნველყონ აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდების ნებართვის აღება.

კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა, ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ამოქმედება 2022 წლის 1 თებერვლიდან.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციოკოდით: 040170310.05.001.020452

ამავე კანონში 2021 წლის 22 დეკემბერს შევიდა რიგი ცვლილებები, რომლებიც შეეხო კანონში განსაზღვრულ ტერმინებს, დამოკიდებულ პირთა სიასა და აკრძალულ პირთა სიას, მომგებიანი თამაშობების მოწყობისა და ნებართვების გაცემის პირობებს, აზარტული თამაშობების მოწყობის, აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდებისა და ნებართვების გაცემის პირობებს, სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ნებართვის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალს, თამაშობის ორგანიზატორის ვალდებულებებს, მათ შორის 25 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქის, 18 წლამდე ასაკის უცხო ქვეყნის მოქალაქის/მოქალაქეობის არმქონე პირის აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) მოწყობის ადგილზე სათამაშოდ შესვლის აკრძალვის თაობაზე პირობებს და ა. შ.

ასაკობრივი შეზღუდვის გაზრდის გამო, იმ პირის სათამაშო ანგარიშზე განთავსებული თანხები, რომელსაც ამ კანონის ამოქმედების შედეგად ეკრძალება აზარტულ ან/და მომგებიან თამაშობებში მონაწილეობა, არის აღნიშნული პირის საკუთრება და უბრუნდება მას საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 040170310.05.001.020472

კანონი, გარდა ამ კანონის პირველი და მე-2 მუხლებისა, ამოქმედდა 2022 წლის 1 იანვრიდან.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

კანონის პირველი და მე-2 მუხლები ამოქმედდება 2022 წლის 1 მარტიდან

ამავე კანონში 2021 წლის 22 დეკემბერს დამატებით შეტანილ იქნა ცვლილებები, რომლის საფუძველზე კანონის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„4. ლატარიის ორგანიზატორი სახელმწიფო ბიუჯეტში ყოველკვარტალურად იხდის მოსაკრებელს „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ოდენობითა და წესით.“

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 040170310.05.001.020470

კანონი ამოქმედდა 2022 წლის 1 იანვრიდან.

„საქართველოს შრომის კოდექსი“

2021 წლის 01 დეკემბერს საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ შევიდა ცვლილებები.

ცვლილებების საფუძველზე საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი“ მე-12 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„6. ვადიანი შრომითი ხელშეკრულების დადებაზე ამ მუხლით დაწესებული შეზღუდვები არ ვრცელდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მეწარმეზე, თუ მისი სახელმწიფო რეგისტრაციიდან 48 თვე არ გასულა (დამწყები საწარმო) და იგი აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ დამატებით პირობებს (ასეთი პირობების დადგენის შემთხვევაში), იმ პირობით, რომ ამ პუნქტის მიზნებისთვის ვადიანი შრომითი ხელშეკრულების ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს 3 თვეზე ნაკლები.“

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge/ სარეგისტრაციო კოდით: 270000000.04.001.018016

კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

„მოსაკრებლის სისტემის საფუძვლების შესახებ“ კანონი

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

2021 წლის 22 დეკემბერს „მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილ იქნა ცვილებები.

ცვლილებების საფუძველზე, კანონის მე-5 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტს დაემატა შემდეგი შინაარსის „ჟ“ ქვეპუნქტი:

„ჟ) ლატარიის მოწყობისთვის დადგენილი სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი.“;

ბ) მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„ე) სათამაშო ბიზნესის (გარდა ლატარიის მოწყობისთვის დადგენილისა) მოსაკრებელი;“.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 210000000.05.001.020476

კანონი ამოქმედდა 2022 წლის 1 იანვრიდან.

„საქართველოს ადმინისრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“

2021 წლის 01 დეკემბერს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შეტანილ იქნა ცვლილებები. ცვლილების შედეგად კოდექსის 273-ე მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება, აგრეთვე ამ კოდექსის 234^{1} მუხლით დადგენილი წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი მხარისთვის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში. აღნიშნული ვადის საპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში ეს ვადა იმ პირის განცხადებით, რომლის მიმართაც მიღებულია დადგენილება, შეიძლება აღადგინოს საჩივრის განხილვის უფლებამოსილების მქონე ორგანომ (თანამდებობის პირმა).

2. ამ კოდექსის 177^{16} ან 177^{17} მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან 15 დღის ვადაში.“

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 020000000.05.001.020424

კანონი ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე

„საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“

2021 წლის 22 დეკემბერს საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში შეტანილ იქნა შემდეგი სახის ცვლილებები:

1. მე-6 მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის „ი“ ქვეპუნქტი:

„ი) პირის შესახებ მონაცემების დამოკიდებულ პირთა სიაში შეტანასთან დაკავშირებით.“

2. მე-9 მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის 12 ნაწილი:

„12. სახელმწიფო ბაჟი არ გადაიხდება ამ კოდექსის VII[22] თავით გათვალისწინებულ საქმეებზე.“.

3. კოდექსს დაემატა VII[22] თავი, რომელიც ეხება ადამინისტრაციულ წარმოებას აზარტულ ან/და მომგებიან თამაშობაზე დამოკიდებულ პირთა სიაში მონაცემების შეტანას.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 030000000.05.001.020467

კანონი ამოქმედდება 2022 წლის 1 მარტიდან.

„ზოგადი განათლების შესახებ კანონი“

2021 წლის 15 დეკემბერს ცვლილებები შევიდა „ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონში. ცვლილებების შესაბამისად, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 61[3] მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

„2. მოქმედი სპეციალური მასწავლებელი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ამ კანონის 21^3 მუხლის მე-3 პუნქტით სპეციალური მასწავლებლის განათლებისთვის დადგენილ მოთხოვნებს, ვალდებულია კომპეტენციის დადასტურების მიზნით 2025 წლის 1 იანვრამდე ჩააბაროს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი გამოცდა.“.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 430050000.05.001.020438

კანონი ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ ბრძანება

2021 წლის 13 დეკემბერს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებით დაქმტკიცებულ დანართებში განხორციელდა რიგი ცვლილებები.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 230210000.22.033.017537

ბრძანება ამოქმედდა 2021 წლის 15 დეკემბრიდან.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება №1143

2021 წლის 9 დეკემბერს „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებებისა) ადგილზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 დამტკიცებული წესში შევიდა ცვლილებები და წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის (შემდგომ – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“) უფლებამოსილი პირი ელექტრონული სახით ადგენს ვიდეომეთვალყურეობის სისტემის დამონტაჟების დამადასტურებელ აქტს, რომელშიც აღინიშნება ვიდეომეთვალყურეობის სისტემის დამონტაჟების თარიღი, ვიდეომეთვალყურეობის სისტემების რაოდენობა, მათი ტექნიკური მახასიათებლები და უფლებამოსილი პირის ხელმოწერა. საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ უზრუნველყოფს ელექტრონული აქტის ხელმისაწვდომობას აზარტული და მომგებიანი თამაშობის ორგანიზატორისა და შესაბამისი უფლებამოსილი პირისათვის. ვიდეომეთვალყურეობის სისტემის დამონტაჟების ელექტრონული აქტის ამონაბეჭდს აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორიც მატერიალურ დოკუმენტს.“.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 040170310.22.034.017177

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ახალი კორონავირუსის (COVID-19) საწინააღმდეგო ვაქცინაციასთან, ტესტირებასთან ან/და გამოჯანმრთელებასთან დაკავშირებული დოკუმენტის გაცემის წესის, ფორმისა და რეკვიზიტების განსაზღვრის შესახებ ბრძანება №01-93/ნ

2021 წლის 30 ნოემბერს დამტკიცდა ხალი კორონავირუსის (COVID-19) საწინააღმდეგო ვაქცინაციასთან, ტესტირებასთან ან/და გამოჯანმრთელებასთან დაკავშირებული დოკუმენტის გაცემის წესი, ფორმა და რეკვიზიტები.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 470230000.22.035.016919

ბრძანება ამოქმედდა 2021 წლის 1 დეკემბრიდან

ამავე ბრძანებაში 2021 წლის 9 დეკემბერს ცვლილება, რომლის საფუძველზე დაზუსტებულ იქნა გარკვეული პროცედურული საკითხები.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 470230000.22.035.016922

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე

ამავე ბრძანებაში 2021 წლის 28 დეკემბერს შევიდა ცვლილებები. ცვლილებების საფუძველზე ბრძანებით დამტკიცებული №1 დანართის (ახალი კორონავირუსის (COVID-19) საწინააღმდეგო ვაქცინაციასთან, ტესტირებასთან ან/და გამოჯანმრთელებასთან დაკავშირებული დოკუმენტის გაცემის წესი, ფორმა და რეკვიზიტები“) მე-7 მუხლს მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის მე-4 და მე-5 პუნქტები:

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

,,4. Georgia e-Health მობილურ აპლიკაციაში საქართველოში ან მის გარეთ აცრილი პირების შესახებ ასახულ ინფორმაციაში შესაძლებელია განხორციელდეს პირადი ნომრის, პასპორტის ნომრით ცვლილება (ან პირიქით), რისთვისაც აცრილმა ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს ოფიციალური ორგანოს მიერ გაცემული განახლებული ცნობა, რომელიც ადასტურებს პასპორტის და პირადი ნომრის კუთვნილებას ერთსა და იმავე პირზე.

5. ელექტრონულ სისტემაში ცვლილება უნდა განხორციელდეს ამ მუხლით განსაზღვრული პრინციპების მიხედვით.“.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 470230000.22.035.016930

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდა 2021 წლის 24 დეკემბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე

„COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის დანერგვისა და იმუნიზაციის მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 3 თებერვლის №01-11/ნ ბრძანება

2021 წლის 25 დეკემბერს ცვლილება განხორციელდა „COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის დანერგვისა და იმუნიზაციის მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 3 თებერვლის №01-11/ნ ბრძანებაში შეტანილ იქნა ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული №51 დანართის (COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის პროცესში დამატებითი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე) პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

„2. ბუსტერდოზით ადმინისტრირება უნდა განხორციელდეს ვაქცინაციის პირველადი კურსის დასრულებიდან მინიმუმ 3-თვიანი ინტერვალით, რაც აითვლება მეორე დოზის გაკეთების თარიღიდან. ბუსტერდოზად შესაძლებელია გამოყენებული იყოს იგივე ან სხვა ვაქცინა.“.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 470230000.22.035.016927

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდა 2021 წლის 24 დეკემბრიდან წარმოშობილ უერთიერთობებზე

ამავე ბრძანებაში შეტანილ იქნა ასევე შემდეგი სახის ცვლილება: ბრძანებით დამტკიცებული №3 დანართის (COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინა AstraZeneca საინექციო ხსნარი) პირველ პუნქტს დაემატა „გ“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„გ) ამასთან, Covid-19 საწინააღმდეგო AstraZeneca წარმოების ვაქცინის არქონის შემთხვევაში, პირველი დოზით აცრილ პირებს მიეცეთ მეორე დოზით აცრის შესაძლებლობა ნებისმიერი სხვა ვაქცინით. პირველ დოზასა და მეორე დოზას შორის მინიმალური ინტერვალი შეადგენს 28 დღეს.“.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 470230000.22.035.016920

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

„იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება №322

2021 წლის 30 ნოემბერს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „იზოლაციისა და კარანტინის წესების

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში შეტანილ იქნა შემდეგი სახის ცვლილებები:

1. დადგენილების 3^2 მუხლის შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის 3^3 მუხლი:

„1. ამ დადგენილებით დამტკიცებული „იზოლაციისა და კარანტინის წესების“ მიზნებისათვის „მწვანე“ სტატუსის მქონედ ჩაითვლება პირი, რომელიც აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ერთ-ერთ პირობას:

ა) ვაქცინირებულია სრულად, „იზოლაციისა და კარანტინის წესებისა“ და „COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის დანერგვისა და იმუნიზაციის მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 3 თებერვლის №01-11/ნ ბრძანების შესაბამისად;

ბ) ფლობს უკანასკნელი 72 საათის განმავლობაში COVID-19-ის ინფექციაზე ჩატარებული PCR ტესტირების ან/და უკანასკნელი 24 საათის განმავლობაში ჩატარებულ ანტიგენ/სწრაფი ტესტირების ნეგატიურ პასუხს;

გ) გადატანილი აქვს კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექცია (COVID-19) და ლაბორატორიულად დადასტურების თარიღიდან გასულია 14 დღეზე მეტი.

2. ეს წესები განსაზღვრავს „მწვანე“ სტატუსის მქონე პირების სხვადასხვა ობიექტზე დაშვების პირობებს. დასაქმებული პირებისთვის დასაქმების ობიექტებზე დაშვებისათვის, ასევე 18 წლამდე პირებისათვის ამ წესებით განსაზღვრული „მწვანე“ სტატუსის მოთხოვნა სავალდებულო პირობას არ წარმოადგენს.“

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 470230000.10.003.023118

დადგენილება ამოქმედდა 2021 წლის 1 დეკემბრიდან.

„მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ კანონი

2021 წლის 30 დეკემბერს „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში მსესხებლის შესახებ არსებული ინფორმაცია (ინფორმაცია ნებისმიერი გარიგების, განხორციელებული ოპერაციის, არსებული დავალიანების ან ნაშთის შესახებ) შეიძლება მიეცეთ მხოლოდ შესაბამისი გარიგების მხარეებს და მათ უფლებამოსილ წარმომადგენლებს, საქართველოს ეროვნულ ბანკს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს, ხოლო „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემოწმების განხორციელებისას – პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს. სხვა პირებს მსესხებლის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია მხოლოდ სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების ან მსესხებელთან წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე მიეცემათ.“.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 220090000.05.001.020492

კანონი ამოქმედდება 2022 წლის 1 მარტიდან.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონი

2021 წლის 30 დეკემბერს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილ იქნა რიგი ცვლილებები, რომლებიც შეეხო ტერმინთა განმარტებებს, კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ფიზიკური პირის მიერ ბიომეტრიულ მონაცემთა დამუშავებას, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის შეტყობინების ვალდებულებას, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საქმიანობის პრინციპებს და ა.შ.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 010100000.05.001.020512

კანონი ამოქმედდება 2022 წლის 1 მარტიდან.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №797

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

2021 წლის 31 დეკემბერს დამტკიცდა „მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეგისტრაციის შესახებ“ ინსტრუქცია. ეს ინსტრუქცია განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს (შემდგომ – სამინისტრო) მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (შემდგომ – სააგენტო) მიერ მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის (შემდგომ – რეესტრი) წარმოების და რეგისტრაციის პირობებს, იურიდიული მისამართისა და ელექტრონული მისამართის სტანდარტს, ინფორმაციის გაცემის ორგანიზაციულ და სამართლებრივ საფუძვლებს, სარეგისტრაციო წარმოებაში მონაწილე მხარეებს, მათ უფლებებსა და მოვალეობებს, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტის დადგენისა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების წესსა და პირობებს.

ამავე ბრძანებას თან ერთვის ორი ნორმატიული აქტი:

1. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
2. განმარტებითი ბარათი.

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge/ სარეგისტრაციო კოდით: 040230000.22.027.017288

ბრძანება ამოქმედდა 2022 წლის 1 იანვრიდან.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge